



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჯარო შეტყობინების განხორციელების შესახებ

საქმე №28/739-11

16 მაისი 2011 წელი
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ბესარიონ ტაბალუა
მოსამართლეები: მია ბაქრაძე
თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა – თამარ ჩუბინიძეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2011 წლის 27 მაისს 12:00 საათზე დანიშნული სხდომის თაობაზე სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა იხილავს ავთანდილ ასათიანის, თეიმურაზ მაჭავარიანის, ედიშერ მიქაძის, კარინა ჩიკვაშვილის, ქეთევან ხუციშვილის, ანზორ ჯინჭარაშვილის, ბადრი ბერაიას სააპელაციო საჩივარს სს „კორსტანდარტ ბანკის“ და თამარ ჩუბინიძის მიმართ. მოწინააღმდეგე მხარეს – თამარ ჩუბინიძეს ორჯერ გაეგზავნათ უწყება სასამართლო სხდომის შესახებ, მაგრამ ჩაბარება ვერ მოხერხდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამის სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარის თამარ ჩუბინიძისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სააპელაციო პალატა თვლის, რომ მას საჯარო შეტყობინებით უნდა ეცნობოს სასამართლო სხდომის დღის შესახებ.

სააპელაციო პალატა თვლის, რომ საჯარო შეტყობინება უნდა გავრცელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე განჩინების გამოქვეყნების გზით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 390-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ეცნობოს თამარ ჩუბინიძეს, რომ სასამართლო სხდომა დანიშნულია 2011 წლის 27 მაისს 12:00 საათზე. სხდომა გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში (თბილისი, გრ. რობაქიძის 7^ა, დარბაზი №6).

2. განემარტოს თამარ ჩუბინიძეს, რომ სასამართლო უწყება მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების განხორციელებიდან მეშვიდე დღეს.

3. აღნიშნულ პროცესზე გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით თამარ ჩუბინიძეს განემარტოს შემდეგი:

– თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება აპელანტი ან მოწინააღმდეგე მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო უფლებამოსილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის შესაბამისად გამოიტანოს **დაუსწრებელი გადაწყვეტილება**.

– თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით

დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. გამოუცხადებლად ითვლება მხარე, რომელიც, თუმცა სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე.

– დაბარებული პირი ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზი სხდომის დაწყებამდე აცნობოს სასამართლოს. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რაც პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზიდან გამომდინარეობს. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო გამოუცხადებლობის შეუძლებლობაზე.

4. განჩინების გამოქვეყნება განხორციელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე.

5. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

ბესარიონ ტაბაღუა

მოსამართლეები

მაია ბაქრაძე

თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი